


# iMETOS SoilGuard

## მობილური ხელსაწყო ნიადაგის ტენიანობისა და ტემპერატურის გასაზომად



მობილური



წყლის რესურსების  
მართვა



რწყვის ოპტიმალური  
რეჟიმი

### ძირითადი მახასიათებლები

iMetos SoilGuard არის ნიადაგის ტენიანობისა და ტემპერატურის საზომი სრულყოფილი, მობილური ინსტრუმენტი. მისი გადაადგილება შესაძლებელია ნებისმიერ ადგილას სურვილისა თუ საჭიროების მიხედვით. ხელსაწყოს მობილურობიდან და მისი გამოყენების სიმარტივიდან გამომდინარე შესაძლებელია სამუშაო პროცესების დაგეგმვისა და წყლის რესურსების მართვის ოპტიმიზაცია, რაც თავის მხრივ ზრდის განხორციელებული ქმედებების ეფექტურობას. სასურველ ადგილას მოთავსების შემდეგ, ხელსაწყო ზომავს ნიადაგის ტენიანობას უშუალოდ ფესვის ზონაში.

## ძირითადი მახასიათებლები:

- მარტივი გამოსაყენებელი, მობილური, საზომი პარამეტრების სწრაფი დათვლა;
- განათებული, ციფრული ეკრანი, რომელზეც შესაძლებელია მნიშვნელობების წაკითხვა;
- 50 000-მდე გაზომვითი სამუშაოს ჩატარების რესურსი. თითოეული გაზომვის შედეგებში ინახება კონკრეტული ადგილის GPS კოორდინატები;
- ერგონომიული დიზაინი ტელესკოპური ტარით;
- ჩამენებული Bluetooth და GPS სისტემები, შესაბამისად ხელსაწყოს არ სჭირდება დამატებითი დამაკავშირებელი კომპონენტები;
- უზრუნველყოფს შემდეგი პარამეტრების მაქსიმალურად ზუსტ მაჩვენებლებს: ნიადაგის ტენიანობა (წყლის მოცულობითი წილი %), ელექტრო კონდუქტიურობა (მარილები) და მიწის ზედაპირის ტემპერატურა.



## ტექნიკური მახასიათებლები

სიზუსტე	± 3.0% (წყლის მოცულობითი წილი %); < 2 მლს/სმ (ელექტრო კონდუქტიურობა)
დიაპაზონი	98.3%-მდე, დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე
ელექტრო კონდუქტიურობა	± 0.1 მლს/სმ; რეზოლუცია: 0.01 მლს/სმ
ტემპერატურა	-30°C-დან 60°C-მდე
რეზოლუცია	0.1% წყლის მოცულობითი წილი
მონაცემთა ჩაწერა და გამოტანა	45,000-დან 61,000-მდე მონაცემი

## ხელსაწყო ვარიაციები

გაუმჯობესებული შედეგებისა და ზუსტი მარკენებლების მისაღებად, შესაძლებელია რამდენიმე სიგრძის საზომი სინჯის გამოყენება:

3.8 სმ



7.5 სმ



12 სმ



20 სმ

